

ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემის ინტეგრაციის  
პრობლემა საქართველოში

მარია ტყეშელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

მარიკა ტყეშელაშვილი -----

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის ინტეგრაციის პრობლემას. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ეთნიკურად აზერბაიჯანელთა რაოდენობა წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის 6,6%-ს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეთნოსის წარმომადგენლები უკვე საუკუნეებია საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, დღეის მდგომარეობით მათ მაინც აქვთ ქართულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების პრობლემა. მნიშვნელოვანია საკითხის ჩაღრმავება და იმ მიზეზების გამოკვეთა, რაც ხელს უშლით მათ სოციალურ თანაცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას. ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის მიმართულებით, საკმაოდ ბევრი კვლევაა ჩატარებული და გამოკვეთილია ინტეგრაციის ხელშემშლელი ძირითადი გამომწვევი მიზეზები, სახელმწიფო ენის არცოდნა, ინფორმაციული ვაკუუმი, თვითსტიგმატიზაცია, სტერეოტიპული დამოკიდებულებები და სხვა. ქვემოთ მოყვანილ ნაშრომში მოყვანილია კვლევა, რომელიც შეეხება სოციალური და საზოგადოებრივი სტატუსის გავლენას ინტეგრაციის ხარისხზე. კვლევა ჩატარდა მარნეულის მუნიციპალიტეტში, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, „ფოკუს - ჯგუფი“. საერთო ჯამში ჩატარდა 6 ფოკუს ჯგუფი. შედეგების დამუშავების შემდგომ, აღმოჩნდა, რომ სოციალური სტატუსი, ფინანსური მდგომარეობა და საზოგადოებრივი სტატუსი სულაც არ არის გადამწყვეტი ინტეგრაციის მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ან ხელშემშლელი პირობა. ძირითადი აქცენტები მაინც გაკეთდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ენის არცოდნაზე. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ვერ მოგვცემს სრულყოფილ სურათს საკითხის ირგვლივ, მაგრამ შედეგები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტად მნიშვნელოვანია სწორად დაგეგმილი პოლიტიკა განათლების მიმართულებით, არა მხოლოდ ენის სწავლების, არამედ მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების მხრივ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობები, მულტიკულტურურობა, ინტერკულტურურობა, აზერბაიჯანელები.

## **Abstract**

The previous work describes problems of integration of Azerbaijan ethnic group living in Georgia. Based on Georgian reality, mentioned task is very important because Azerbaijan ethnic group consists 6,6 % of a population of Georgia. In spite of a fact that Azerbaijan people has been living here during ages, nowadays they have a problem with realizing themselves. It's important to observe a task and mark reasons which obstruct them from active involve in social coexistence. There are many conducted researches about integration of ethnical minorities and we know the basic obstructing reasons of integration: not knowing state language, informational vacuum, self-stigmatization, stereotypical attitudes e. c.

In the work below is given a research, which tell us about influence of social and public status on quality of integration. The research conducted in Marneuli municipality, in the city and in villages as well. There has used a method of qualitative research, "focus group." Overall 6 "focus group" have conducted. After processing results it has discovered that social and public status and financial condition are not decisive in supporting or hindering circumstance of integration. The main accents have made about accessing to information and not knowing state language. The information got from the research can't give us full picture around the issue but the results reveal us that the government has to manage a right policy implementation in knowledge not only studying a language, also growing a civil self-consciousness.

Main searching words: ethnic minorities, multiculturalism, Interculturalism, Azerbaijan.